

## ავთანდილ არაბული

### ზოგი წარმოქმნილი (მეორეული) ზმნისართის შეხამებისათვის ნაცვალსახელებთან

როგორც ცნობილია, პირის ნაცვალსახელთა ბრუნების სისტემის გამართვა (შეესება) ქართულში ხერხდება ფუძის მონაცვლეობით; კერძოდ, III პირის ნაცვალსახელი (**ის**, **იგი**) მთელ პარადიგმას ივსებს **მა**- ფუძის მეშვეობით; ხოლო I პირის ნაცვალსახელის ფორმაწარმოების ერთადერთი შესაძლებლობა ნათესაობითი ბრუნვის შესაბამისი სუპლექტური ფუძის წარმოქმნაა: **მე** → **ჩემ**-; ამასთანავე, ეს უკანასკნელი ფუძე, იმავე დროს, იძლევა კუთვნილებითი ნაცვალსახელის ამოსავალსა (სახელობითის) და ყველა სხვა ბრუნვის ფორმას: **ჩემ**-ი, **ჩემ**-მა...

სუპლექტივიზმის გარეშე იგივე ემართება I პირის მრავლობითისა და II პირის მხოლობითისა და მრავლობითის ფორმებს – მათი ნათესაობითი ბრუნვის ფორმა იმავე დროს გვევლინება კუთვნილებით ნაცვალსახელად:

ჩვენ → ჩვენ-ი  
შენ → შენ-ი  
თქვენ → თქვენ-ი

არსებითად იმავე სახის ტრანსფორმაცია ხდება მესამე პირის (მხოლ. და მრავლ.) სუპლექტური **მა**- ფუძის ბრუნების დროს; ამ ფუძის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა იმავე დროს არის III პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვის ფუძე:

მ-ის → მის-ი  
მა-თ → მათ-ი

აღნიშნულ პარადიგმატულ მიმართებებს კარგად წარმოაჩენს შესაბამისი სინტაგმატიკა; შდრ.:

**ჩემ** გამო – **ჩემ**-ი ძმა  
**შენ** შესახებ – **შენ**-ი წიგნი  
**მათ** გამო – **მათ**-ი ფიქრი

ამ ორი პარადიგმატული და სინტაგმატური რიგის თანაარსებობამ უკანასკნელი სამი საუკუნის სალიტერატურო ქართულსა და

ქართულის კუთხურ ქვესისტემებში ორმხრივ განავითარა უნიფიკაციის ტენდენცია:

ა) პირველ შემთხვევაში პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებსაც გაუჩნდათ ბრუნვის ნიშნები:

ჩემ-ს გამო; შენ-ს შესახებ; მათ-ს გამო...

ბ) მეორე მხრივ, კუთვნილებითი ნაცვალსახელის, როგორც მსაზღვრელის, ფორმაწარმოება შეიძლება დავიდეხს მინიმუმამდე:

|                       |                          |
|-----------------------|--------------------------|
| შენ- <sup>1</sup> ძმა | მის- <sup>1</sup> წერილი |
| შენ ძმა-მ             | მის წერილ-მა             |
| შენ ძმა-ს             | მის წერილ-ის             |
| შენ ძმ-ის             | მის წერილ-ით             |

ამ არაერთგვაროვანი ტენდენციის გამოვლინებები, ბუნებრივია, თავს იჩენდა XIX-XX საუკუნეთა მწერლობასა და პუბლიცისტიკაში. შესაბამისი მასალის სიჭრელემ დააყენა საკითხის ნორმატიული მოწესრიგების აუცილებლობა. კერძოდ, საკითხი – „სახელის შეწყობა ცალკე მდგომ თანდებულებთან და ზმნისართებთან ნათესაობითსა და მიცემითს ბრუნვებში“ გამოწვლილვით არის დამუშავებული ივ. გიგინეიშვილის მიერ და დადგენილია, რომ სახელის ბრუნვის ფორმისაგან ცალკე მდგომი თანდებულ-ზმნისართები (**გარდა, გამო, მიერ, მაგიერ, შემდეგ, წინ, უკან, იქით, აქეთ, შუა, შორის, წინათ, ზევით, ქვევით, ახლო(ს), გარეშე, გარშემო, ირგვლივ, გასწვრივ...**) „19. ... (ძირითადად) პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელების სანმოკვეცილ ფორმებს უნდა დაუკავშირდეს (ე. ი. **ჩემ, შენ, ჩვენ, თქვენ** სახეობებს), რომლებიც ნათესაობითი ბრუნვის ბადალია. ამის მიხედვით გვექნება: **ჩემ გარდა, შენ გარდა, ჩვენ გარდა, თქვენ გარდა, ჩემ უკან, შენ უკან, ჩვენ უკან, თქვენ უკან, ჩემ შემდეგ, შენ შემდეგ, ჩვენ შემდეგ, თქვენ შემდეგ** და ასევე **შემდგომ, ქვეშ, გამო, წინაშე, წინ, მიერ, მერმე, წინათ, ზევით, ზემოთ, ქვევით, ქვემოთ, მაგიერ, ახლო, შორიახლო** და სხვ. თანდებულ-ზმნისართებთან. ამით დამყარდება ერთგვარობა და გზა აღარ გაეხსნება ისეთ ფორმებს, როგორებიცაა: **ჩემსკენ, შენსკენ, ჩვენსკენ, თქვენსკენ, ჩემს მიერ** და სხვ., რომლებშიც **ს** ანალოგიითაა გაჩენილი.

20. ასევე უნდა იხმარებოდეს **ჩვენ შორის, ჩვენ შუა, თქვენ შორის, თქვენ შუა**. ამ შემთხვევაში **ჩვენ, თქვენ** მიცემითის ბადალია და კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმის გამოყენება აღარ დაგჭირდება. **შუა** და **შორის** – გაჰყვება საერთო წესს.

21. ისეთი შემთხვევები, როცა **შორის** და **შუა** ორ ნაცვალსახელთან იხმარება, ზემო მუხლში გათვალისწინებულ წესს უნდა დაუქვემდებარდეს, ე. ი. ყველგან **ს** მოკვეცილი ფორმები უნდა იხმარებოდეს: **ჩვენ და თქვენ შორის, თქვენ და ჩვენ შორის** და ა. შ.“ [ნორმები 1986: 123].

აქვე ნათქვამია, რომ „სახელის მიცემით ბრუნვას შეერთებული (**ს** მოკვეცილი) ფორმები გაკომპოზიტებულია და ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს: **ლოდებშუა, ჰერქვეშ, კაკალქვეშ, ფეხქვეშ, კაკლებქვეშ, თავქვეშ, თვალწინ, ცხვირწინ, გუშინწინ, წყალგაღმა**“ [იქვე, გვ. 126].

ამ ბოლო შენიშვნაში ორი რამეა აღსანიშნავი: ის, რომ ეს ფორმები კომპოზიტებია და ის, რომ ასეთი გაკომპოზიტება მიცემით-ბრუნვიან მსახდვრელს უკავშირდება (\*ჰერ-ს-ქვეშ).

დასახელებული წარმოქმნილი ფორმები ერთგვაროვანი არ არის არც შედგენილობისა და, რაც მთავარია, არც სემანტიკური სინთეზის (შეკავშირების) თვალსაზრისით. კომპოზიციის ეს მოდელი საკმაოდ მოქნილია (შდრ. ერთი მხრივ – **ჰერქვეშ**, ხოლო მეორე მხრივ – **დახლქვეშ**), მაგრამ მყარი (დამდგარი) კომპოზიტები მაინც მცირერიცხოვანი ჯგუფის სახით წარმოდგება. ისინი, პირობითად, ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს:

1. მათი ძირითადი, უფრო მყარი, ნაწილი ადამიანის სხეულის ნაწილებს უკავშირდება (**თვალწინ, ცხვირწინ, თავქვეშ, ფეხქვეშ...**).

2. დანარჩენი კომპოზიტები სხვადასხვა კონკრეტული არსებითი სახელისაგან წარმოქმნილა (**წყალგაღმა, ჰერქვეშ, კაკალქვეშ, ლოდებშუა...**).

ამგვარ წარმონაქმნებს გაკომპოზიტების ასევე არაერთგვაროვანი გზა გაუვლია:

ერთი ნაწილი ერთ განუყოფელ სიტყვად ქცეულა, მათი ანალიზურად წარმოდგენა ფაქტობრივ შეუძლებელია (მაგ. **გულს გართ, ცხვირწინ, თავზევით**); ამიტომაც ისინი მხოლოდ საგარე-მოებო ფუნქციით გვევლინება.

მეორე ნაწილი ასევე სრულად არის გაკომპოზიტებული, ის მხოლოდ პირობითად (ასახსნელად) ემორჩილება ანალიზურ წარმოდგენას (**თვალწინ, ფეხქვეშ...**).

მესამე ნაწილი თავისუფლად მონაცვლეობს შესაბამის ანალიზურ „სინტაგმასთან“ (**კაკალქვეშ // კაკლის ქვეშ, წყალგაღმა // წყლის გაღმა**).

ქველი, ჩვეულებისამებრ, განმარტებებში ასახავს ამგვარი ერთეულების რთულ გენეზისს (რაც წარმომავლობის ასახსნელად მოსახერხებელია, მაგრამ სემანტიკური თვალსაზრისით ყოველთვის ზუსტი არ არის):

**თვალწინ** – თვალის წინ, – მეტად ახლოს (შდრ. ცხვირწინ).

**თავქვეშ** – თავის ქვეშ.

**ფეხქვეშ** – ფეხებს ქვეშ, – ფეხებში.

**კარწინ** – კარის წინ, – კართან.

შდრ.: **ცხვირწინ** – სახესთან მეტად ახლოს. // ძალიან ახლოს.

რაც მთავარია, ამგვარი წარმონაქმნები ქველში ზმნისართებად არის კვალიფიცირებული.

როგორც „ცალკე მდგომ თანდებულებად“ გამოყენებულ ზმნისართებთან დაკავშირებით აღინიშნა, ნაცვალსახელები ამ წარმოქმნილ ზმნისართებთანაც არაერთგვაროვან შეთანხმებას ავლენენ: ან ფუძის სახით წარმოდგებიან (**ჩემ ცხვირწინ**), ან, უფრო ხშირად, „ნანათესაობითარი“ მიცემითის ფორმით (**ჩემს თვალწინ**). შდრ.: არსებითი სახელი მათ ნათესაობითის ფორმით შეეწყობა:

[გმირისეულმა] პარმენი... მოაკვლევინა **საყდრის კარწინ**

(ს. მგალობ.).

სათანადო მაგალითები:

**თვალწინ:**

ა) დაგიჭერდნენ და **ჩემს თვალწინ** მოგკლავდნენ (გ. ქიქ. თარგმ.). **ჩვენს თვალწინ** ერთი წელიწადი მეორეზედ მოდის და მოდის (**ილია**). ამ ცივის მთაზე რომ ახვიდე და იქით, აღმოსავლეთისაკენ გადაიხედო, **შენს თვალწინ**, ქვემოთ, გადაიჭიმება ვეებერთელა ვაკე (**ი. გოგებ.**). საჩივარი **ჩემს თვალწინ** დახიეს და შემომაყარეს (**„რეზონანსი“**). ჯადოსნური ღამე იყო და **ჩვენს თვალწინ** სასწაული ხდებოდა (**„მედია“**). დღეს **ჩვენს თვალწინ** რუსეთი ცდილობს, მოახდინოს აფხაზეთის ანექსია (**„საზოგადოება“**). საუკუნოვანი კოშკები და სვანეთის ისტორია გადაიშლება **თქვენს თვალწინ** (**„მესტია“**). **ჩვენს თვალწინ** საბჭოთა კავშირის აღდგენა ხდება (**„პრესა“**). დვანი – ტრაგედია

**ჩვენს თვალწინ** („მე – რეპორტიორი“). უფროსმა ჩემს თვალწინ მოამზადა განცხადება და ხელიც ჩემს ნაცვლად მოაწერა („რეზონანსი“).

შდრ. ამ უკანასკნელი წინადადების სხვა ვერსია იმავე ტექსტში:

- ბ) **ჩემ თვალწინ** შევიდა ჩემს ელექტრონულ პროგრამაში, განცხადება მოამზადა და ხელიც **ჩემ ნაცვლად** მოაწერა („რეზონანსი“). ოშკის უკანასკნელი თვითმხილველები: ტამრის ფასადი **ჩვენ თვალწინ** ჩამოინგრა („ახალი 7 დღე“). როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ **ჩვენ თვალწინ** მოუნათლავი ადამიანი ილუპება? („მამა გიორგი“). ახლა სამყარო **ჩვენ თვალწინ** ლამაზად, სადად ცოცხლდება („ადვილი“). ადამის ძევ, ყარიბივით გამოეწყვე და გადი საყარიბოდ **მათ თვალწინ** („რად. ივერ.“). როგორ იქცევიან თბილისელები, როცა **მათ თვალწინ** მათხოვარს ძარცვავენ („პალიტრა-ტვ“).

**ცხვირწინ:**

- ა) **ჩემს ცხვირწინ** ხის ყუთს რომ ზედიზედ 12 ტყვია მოხვდა, მაშინლა მივხვდი – თავი ცოტა ქვემოთ უნდა დამეწია („გმირები“). ნელ-ნელა ისე გათავხედდა, რომ სამზარეულოში **ჩვენს ცხვირწინ** გავლისას ფეხსაც არ აუჩქარებდა ხოლმე („მალხაზ“).
- ბ) **ჩემ ცხვირწინ** ბავშვის მამამ სიგარეტის კოლოფი მოისროლა ქუჩაში („სჯობს“). ქართული ყველის მრავალფეროვნება – უცნობი სიმდიდრე **ჩვენ ცხვირწინ** („კვ. პალიტ.“). ყველა ხელსაყრელ მომენტს გამოიყენებს, რომ **თქვენ ცხვირწინ** იტრიალოს („ასტრობლოგი“). ეს მუსიკა ისევ ცოცხალია... და ამას აქვე, ...**შენ ცხვირწინ** აკეთებენ ადამიანები („ემბრიონი“).

**ფეხქვეშ:**

- ა) გაყალბების შემთხვევაში **თქვენს ფეხქვეშ** მიწა დაიწვება („პრესა“). მთელი სამყარო **თქვენს ფეხქვეშ** იყო მოქცეული („ისი-პარი“).
- ბ) შენი მონა ვარ, **შენ ფეხქვეშ** მოვკვდებიო (რ. ერისთ.). საქართველოს მიწის ყველა კვადრატული მეტრი უდა იწვოდეს **მათ ფეხქვეშ** („პოლიტ.“).

### **თავზევით // თავზემით\*:**

- ა) პეპლების დიდი გუნდი დავინახე, **ჩემს თავზემით** ტრიალებდნენ (**მ. მეტრ.**). და **ჩვენს თავზემით** ქორი გულისწამლებად წივის! (**დ. ქაშიაშვი.**). ჩამოშლილიყო **ჩვენს თავზემით**, ხეზე, შენი თმა (**დ. ბარბაქ.** თარგმ.). ვჩქარობდი ნისლიან ნესტს გავქცეოდი, რომელიც **ჩემს თავზემით** ტრიალებდა (**„არქივი“**). უეცრად ფრთების ავი ტყლაშუნი გაისმა და **ჩემს თავზევით** ბუზისტოლა წერტილებმა საშინელი სისწრაფით იწყო ზრდა (**ლ. მოლარიშვი.**).
- ბ) **ჩემ თავზემით** ავისმომასწავებელი გრუხუხუნი გაისმა (**„არქივი“**). ამ დროს რაღაც შეასკდა ხეს **მათ თავზემით** (**„პოეზია“**). ავტომატის ჯერმა **მათ თავზემით** ვაზის უკვე სავსე მტევნები გადაცხრილა (**ლ. ტოკლიკ.**). თან **მაგათ თავზემით** აშკარად ჩანს შრაპნელის ჭურვებისგან გაჩენილი კვამლის ბოლქვები (**„აისი და საზოგადოება“**).

### **თავქვეშ:**

- ა) მისი მარცხენა **ჩემს თავქვეშ** იქნებოდა (**„რად. ივერ.“**).

### **ზურგსუკან:**

- ა) **ჩვენს ზურგსუკან** მთელი სევასტოპოლი იდგა (**„არქივი“**).
- ბ) ტრიბუნაზე **ჩემ ზურგსუკან** ისეთი კაცი იდგა, რომელიც ვერ ვიცანი (**„სპორტ.“**). ამერიკელები ორმაგ თამაშს თამაშობდნენ და **ჩვენ ზურგსუკან** ნაცისტებთან ფლირტაობდნენო (**„სანა“**). **მათ ზურგსუკან** ფერადი მუთაქები აწყვია (**„არქივი“**).

### **კარწინ:**

- ა) მათთვის უმჯობესი იქნება, თუ... **მათს კარწინ** არსებულ სიტუაციას დააკვირდებიან (**„კვ. პალიტ.“**).
- ბ) ურემი შედგა **ჩვენ კარწინ** (**შ. არაგვ.**).

### **ჭერქვეშ:**

- ა) ოღონდ იმ კაცებს არაფერი ავნოთ, რადგან **ჩემს ჭერქვეშ** არიან შემოსულნი (**„რად. ივერ.“**). უფალო, არა ვარ ღირსი, რომ **ჩემს ჭერქვეშ** შემოხვიდე (**„რად. ივერ.“**). პატივს ვცემდი, მიყვარდა და **ჩემს ჭერქვეშ** მინდოდა მისი ხმის გაგო-

---

\* ქეგლში შეტანილია მხოლოდ თავზევით ფორმით; თანამედროვე ქართულში კი უპირატესობა თავზემით ზმნისართს ენიჭება.

ნება (**გ. შატბერ.**). კეთილი იყოს შენი ფეხი **ჩემს ჭერქვეშ** (**„ლიტ. საქ.“**).

ბ) **შენ ჭერქვეშ** სტუმრობა... გვანიჭებს ხალისს და უნაზეს მოლოდინს (**გ. ჯაბუშ.**). დიდად მოხარული ვარ, რომ ყველანი ასე თავმოყრილი **ჩემ ჭერქვეშ** გნახეთ (**დ. სარაჯ.**). ლტოლვილები თავშესაფარს **მათ ჭერქვეშ** პოულობდნენ (**„მართლმად.“**).

### სახლწინ:

ა) ნეტავი მომინაურება შეიძლებოდას, **ჩემს სახლწინ** ვალოცო (**მ. კახ.**).

ორგვარი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება:

1. ან უნდა დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ **თვალწინ, ცხვირწინ, ჭერქვეშ...** ტიპის წარმონაქმნები ზმნისართის მიცემით ბრუნვასთან შეზრდით არის მიღებული (ეს აშკარად ჩანს ისეთ ფორმაში, როგორცაა **ზურგ-ს-უკან**), ანუ ისეთი სინტაგმატური მიმდევრობის გაკომპოზიტებაა, როგორცაა, მაგ.:

ბიჭი მიიყვანეს და ს ა ხ რ ო ბ ე ლ ა ს ქ ვ ე შ დააყენეს (**ილია**).  
თ ვ ა ლ ე ბ ს წ ი ნ საზარელს სურათს დაფუყენებ სიკვდილი-  
სას (**ვაჟა**) [იხ. ნორმები 1986].

2. ან უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში თანდებული პირდაპირ ფუძეს დაერთვის და ის შინაარსობრივად ნათესაობითის ფარდია.

შესაბამისად:

პირველ შემთხვევაში მივიჩნევდით, რომ ნაცვალსახელმა (როგორც მსაზღვრელმა წევრმა) შეინარჩუნა საზღვრულთან შეთანხმებული ფორმა „ჩემ-ს“:

ჩემ-ს ცხვირ-**ს**<sup>1</sup>(წინ)

ამ შემთხვევაში **თვალწინ, ცხვირწინ...** მიიჩნევა არა ზმნისართად, არამედ არსებითი სახელის თანდებულთან ფორმად, ისეთად, როგორცაა, ვთქვათ, შესიტყვება ჩემ-ს სახლ-**ს**<sup>1</sup>-თან.

მეორე შემთხვევაში (ნათესაობითის ვარიანტად მიჩნევისას), რადგან მსაზღვრელის მოსალოდნელი **ჩემ-ი** ფორმა რეალურად არ დასტურდება, კანონიერად უნდა მიგვეჩნია **ჩემ**, როგორც შეთანხმებული ასევე გაუფორმებელ ფუძესთან **სახლ**(წინ); აქ **ჩემ-ს** ფორმა შე-

უსაბამოა; ანუ აქ გვექნება შესიტყვება: **ჩემ სახლ-წინ...** ისევე, როგორც **საკუთარ სახლ-წინ, თბილ ჭერ-ქვეშ...**

ეს უკანასკნელი შესიტყვება, თავისთავად, კომპოზიტივში გაერთიანებული არსებითი სახელის საზღვრულობას უჭერს მხარს (რადგან „საკუთარ წინ“ შესიტყვება ენობრივად დაუშვებელია).

მეორე მხრივ, როგორც ფორმალური, ისე, განსაკუთრებით, სინტაგმატური თვალსაზრისით აღნიშნული კომპოზიტივები იკავებენ დამოუკიდებელი ზმნისართების პოზიციას. ეს დასტურდება როგორც ზმნასთან მიმართებით (შდრ.: **წინ** დაუდგა – **თვალწინ** დაუდგა), ისე არსებითი სახელის მომდევნო, არსებითად მყარ, პოზიციამდე დგომით, რაც ამგვარ წარმონაქმნებს ე. წ. ცალკე მდგომ თანდებულებთან ათანაბრებს (შდრ.: **მეზობლის წინ – მეზობლის სახლწინ...**).

თუ ამ უკანასკნელ არგუმენტებს გავითვალისწინებთ, ანალოგიურ შესიტყვებაში ნაცვალსახელი წარმოდგენილი უნდა იყოს ფუძის, ანუ სუპლექტური ნათესაობითის (და არა – მიცემითის) სახით: **ჩემ** თვალწინ, **შენ** ცხვირწინ, **ჩვენ** ზურგსუკან და სხვ.

ვფიქრობთ, ამავე კონტექსტით უნდა განვიხილოთ ზმნისართებად ქცეულ მიმღეობებთან დაკავშირებული პირის ნაცვალსახელების სუპლექტურ ფორმათა შეხამების მაგალითები. საკითხი შეეხება მყოფადისა და უარყოფით მიმღეობებს, რომელთა ვითარებითი ბრუნვის ფორმა, თავისი სემანტიკური ტრანსფორმაციის გამო, ზმნისართად არის აღიარებული. ქველი ამგვარ მაგალითებს ზმნისართებად გამოყოფს და განმარტავს შესაბამის მიმღეობათა ბუდეში. სრულიად აშკარაა, **დასაწერად** ფორმა თავისი სემანტიკით **დასაწერი**-მიმღეობის პარადიგმის წევრი არ არის, ანუ ის არ არის **დასაწერი**-ფუძის ვითარებითი ბრუნვის ფორმა (ისეთი, როგორც არის ის წინადადებაში: „დაუწერი **დასაწერად** იქნა მიჩნეული“...).

ამგვარ „ნამიმღეობარ“ ზმნისართებს, ბუნებრივია, ახლავს მსაზღვრელი: **მეზობლის** შესაშინებლად, **ავადმყოფის** წასაყვანად... ხოლო ამავე მსაზღვრელის პოზიციამში შეიძლება მოგვევლინოს პირის ნაცვალსახელის სუპლექტური ნათესაობითი: **ჩემს** წასაყვანად...

ზემოგანხილული ზმნისართული კომპოზიტივების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც ნაცვალსახელი ორგვარ ფორმაში გვხვდება: სუპლექტური ნათესაობითი (**ჩემ-**) და „შეთანხმებული“ მიცემითი (**ჩემს-**); მაგალითები:



– მართალი ბრძანდები, – განაგრძელა იმ უბედურმა, თითქო მე შევეცოდეო, **ჩემს დასამშვიდებლად (ილია)**. – თუ **ჩემს დასამშვიდებლად** ამბობთ, ფასი აღარ აქვს (**ელ. ახვლ. თარგმ.**). ხანდახან, როცა უმიზეზოდ ავტირდები, მოთმინება გეყოს **ჩემ დასამშვიდებლად („ურაკპ.“)**. ჯარისკაცების დანახვაზე მატეოს თავში აზრმა გაუელვა, ალბათ ჩემს დასაჭერად არიან მოსულიო (**გ. ქიქ. თარგმ.**).

იგრიალეს მოსწავლეებმა **ჩემ დასაჭერად** და გადამელობნენ კარებზე (**აკაკი**). [იგი] კუთხეში იდგა და გვიყურებდა, როგორ იწევდნენ **ჩვენს დასახოცად** მისი ბიჭები (**სსაქ. და მსოფ.“)**. დაშინების მიზნით იყო ეს ყველაზეერი, თორემ ჩემ მოსაკლავად რომ ყოფილიყო, დღე მომკლავდნენ (**„თავისუფ.“)**.

გამიხარდაის თავი ამოეყო მღვრიე წყლიდან და **ჩემ დასანახად** იცინოდა (**გ. ჩოხ.**). ეს რევოლვერები რატომ დააწყვეს სუფრაზე? **ჩემ დასანახად? (გ. ხალვ.)**. ღრუბლების ჯოგი, **ჩემს დასანახად**, ათასნაირად იცვლიდა სახეს (**ო. ჭილ.**).

შუბლზე მაწერია ხვედრი – გავქრე **შენს უნახავად (ე. კვიტ.)**. ვერ მოვკვდებოდი მე უშენოდ, ვერ წავიდოდი ამ ქვეყნიდან **შენ უნახავად („ლიტერ.“)**. [თამარი] მე შვილად გამიზრდია და **ჩემს უკითხავად** ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს! (**აკაკი**). მეფე დაისვეს **ჩემს უნებართვოდ**, მთავრები დაისვეს **ჩემს დაუკითხავად („რად. ივერ.“)**.

გვხვდება კუთვნილებითი ნაცვალსახელის ვითარებითის ფორმით გამოყენების შემთხვევებიც: ხშირად **ჩემდა დაუკითხავად-დაც-ვი** ჩემი მდივანი კრეფს ცნობებს (**ნ. ლორთქ.**).

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში მიცემითში მდგომი პირის ნაცვალსახელი გრამატიკულად ასევე გაუმართლებელია, ვინაიდან აქ პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვა უნდა ვიგულოთ და არა – კუთვნილებითი (ნანათესაობითარი) ნაცვალსახელის მიცემითი.

ამავე დროს, ეს უკანასკნელი საკითხი მოითხოვს სახელ-ზმნებთან უბრალო დამატების შეხამების ერთიან წესებთან შეჯერებას, ერთიან კონტექსტში განხილვას.

## ლიტერატურა

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, I გამოც. 1970, II გამოც. 1986.

ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950-1964.

### Avtandil Arabuli

#### Towards the Combination of Some Derived (Secondary) Preverbs and Pronouns

##### s u m m a r y

Adding of prepositions and adverbs to noun results compound-stemmed adverbs: **tvalcin** „before one’s eyes“, **cxvircin** „right under one’s nose“, **tavkveš** „under one’s head“, **čerkveš** „under one ceiling“...

Using such derivative words with determinant pronouns gives two variants of combination: **čems tvalcin/čem tvalcin** „before my eyes“...

I believe that the priority should be given to the case when a pronoun is given with its stem like simple adverbs (**čem cin**... „in front of me“...).